ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7682529

ნომერი: AR11106024

თარიღი : 03.09.2025

გაცემის თარიღი : 29.10.2025

გაცნობის თარიღი : 30.10.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლევან გოთუას ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჯობავა პ/ნ 62006030542
- გალი სოფ. 1-გალი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 03/09/2025 წლის AR11106024 განცხადებით მომართა მოქალაქე ალექსანდრე ჰობავამ და მოითხოვა სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო საკადასტრო ერთეულის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით, ქალაქი თბილისი, ქალაქი თბილისი , ქუჩა გოთუა , N 7 -ში (ს/კ: 01.10.13.003.041; ჯამური ფართობით: 4987.00 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (საცხოვრებელი 25% ; კომერციული 75%) აშენების მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

2022 წლის 22 დეკემბრის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება #ბ01.01223564-ით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ს/კ: 01.10.13.003.041 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციების 10% / 90%-ზე გადანაწილებით. აღნიშნულ მერის ბრძანებაში შევიდა ცვლილება 2023 წლის 24 მაისს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბ01. 01231448 ბრძანებით და ს/კ: 01.10.13.003.041 მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელის სახლისთვის, საცხოვრებელი ფუნქციით არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 77%-ის განთავსებით.

14/07/2023 წლის № 6560969 ბრძანებით შევიდა ცვლილება გაპ-ში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერის და საკადასტრო გეგმის დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საჯარო რეესტრის ამონაწერის და საკადასტრო გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო მონაცემები, კერძოდ:
   - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: ს.კ 01.10.13.003.053; ფართობი 5311.0 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი :

892025202668; მომზადების თარიღი 25/10/2025.

- განახლებული საკადასტრო გეგმა, რეგისტრაციის ნომერი 892025186815; მომზადების თარიღი 10/10/2025.

2. ნაკვეთის ჩიხურ ნაწილში სიმაღლე განისაზღვროს საკადასტრო საზღვრებიდან.

3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06/12/2022 წლის № 6238210 და 14/07/2023 № 6560969 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.